



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბრაილოვსკი პეტრე ვლადიმერის ძე

ბრაილოვსკი პეტრე ვლადიმერის ძე [19. XII (31. XII). 1862, თბილისი, – 1 – 23. XII. 1910 (5. I. 1911), იქვე], სამთო ინჟინერი, საზოგადო მოღვაწე (წარმოშობით უკრაინელი, დედით ქართველი).

დაამთავრა თბილ. ვაჟთა I გიმნაზია. მუშაობდა ყალიბმანში (ძვ. ქართ. სახელწოდება აღმეგანისა, ყარსის ვილააიეთი) მარილის საბადოებზე, შუა აზიის რკინიგზის მშენებლობაზე; ბაქოში – „მოსკოვ-კავკასიის“ ნავთის მწარმოებელი ამხანაგობის მმართველად. თავისი სახსრებით თბილ. ბოტან. ბაღში გაიყვანა გვირაბი. განმზრახული ჰქონდა თბილისსა და კოჭორში ბალნეოლ. და კლიმ. კურორტების მოწყობა, რისთვისაც შეისყიდა ბოტან. ბაღთან არსებული მუსლ. სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია. აქედან კოჭრისაკენ უნდა გაეყვანა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. პროექტი განუხორციელებელი დარჩა.

ს. კინწურაშვილი